მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №7

ქ. მარტვილი 11 აპრილი 2022 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე დამთავრდა 13:00 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 19–მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი სიმონ რევია, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა.

მოისმინეს 1: საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე,

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2022 წლის 11 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 აპრილის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 აპრილის განკარგულება №32 სხდომის ოქმს თან ერთვის./

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
   /მომხსენებელი-სიმონ რევია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი/
3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ;

/მომხსენებელი-ცოტნე კაკულია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსის მ/შ/

4. მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის გაყოფისა და ახალი დასახლების ,,მამული"-ს შექმნის თაობაზე;
/მომხსენებელი-გრიგოლ კიკალიშვილი, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი/
5. სხვადასხვა.

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა.

მოისმინეს 2: მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი სიმონ რევიას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წელს დამტკიცებულ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას ემატება მარტვილის მუნიციპალიტეტის გაჭედილის ადმინისტრაციულ ერთეულში, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 736კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 41.12.31.222 და დასძინა, რომ აღნიშნული საკითხი განხილულია, როგორც შესაბამის კომისიებში და ასევე ბიუროს სხდომაზეც.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს **,,**მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე/ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 აპრილის განკარგულება № 33 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მე-3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 19-მა წევრმა.

მოისმინეს 3: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხი ეხება სოფ.დიდი ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებზე თანხის გადანაწილების ცვლილებას და საკრებულოს წევრებს წარუდგინა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი

პროექტების ფონდიდან ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნული საკითხი განსახილველად დაეგზავნა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებსა და კომისიებს და სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს, ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კორექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 აპრილის განკარგულება №34 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-4 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს19-მა წევრმა.

მოისმინეს 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის გაყოფისა და ახალი დასახლების ,,მამული“-ს შექმნის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს შესაბამისი კომისიის დადებითი დასკვნა და ასევე ადგილობრივი მაცხოვრებლების მოთხოვნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონს გამოეყოს სოფელი ,,მამული'' იმ მოტივით, რომ ისტორიულად მამული არის ცალკე დასახლება და მას გააჩნია ცალკე დასახლებისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ელდარ თოდუამ აღნიშნა, რომ ის გარკვეულია აღნიშნულ საკითხში და მხარს უჭერს წარმოდგენის განკარგულების პროექტს წარმოდგენილი სახით.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის გაყოფისა და ახალი დასახლების ,,მამული“-ს შექმნის თაობაზე განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჭყონის გაყოფისა და ახალი დასახლების ,,მამული“-ს შექმნის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 აპრილის განკარგულება №35 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მოისმინეს 5. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მე 5–ე საკითხთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს განუმარტა რომ საკრებულოს წინაშე სიტყვით გამოსვლის მოთხოვნით მიმართა მოქალაქე ავთანდილ ხვინგიამ, რომლის საშუალებაც მას მიეცა.

ავთანდილ ხვინგიამ თხოვნით მიართა საკრებულოს წევრებს, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის ქვაითის უბნის გარკვეული ნაწილის გზის საფარი შესაკეთებელია და ასევე მოსაწესრიგებელია სანიაღვრე სისტემა და სთხოვა საკრებულოს წევრებს ამ კუთხით დახმარებოდნენ.

საკრებულოს წევრმა ელიზბარ ახვლედიანმა განუმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განცხადებით მიემართა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის, რაზეც ავთანდილ ხვინგიამ უპასუხა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განცხადება გაგზავნილია მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის და შესაბამის პასუხს ელოდება.

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა